საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის **2022** წლის საქმიანობის ანგარიში

ანგარიშის მიმოხილვა 2
ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ 2
ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი 3
საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის გაძლიერებისთვის 5
ადვოკატთა ასოციაციის როლი და ჩართულობა მართლმსაჯულების განვითარების პროცესში 6
საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიული გადაწყვეტილება - ქართული ადვოკატურის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის გარანტი 8
თანამედროვე ტექნოლოგიები ასოციაციის საქმიანობაში 9
ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა და წევრთა მხარდაჭერა 11
ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობა 12
ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა 19
ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა 27
ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა 33
კორპორაციული მიმართულება 34
საერთაშორისო თანამშრომლობა 36
ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარება 41

ანგარიშის მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ზოგად ინფორმაციას ასოციაციის მართვის სტრუქტურისა და მანდატის შესახებ. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია 2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების თაობაზე, მათ შორის საგანმანათლებლო, ეთიკის კომისიის, საკომიტეტო საქმიანობის, სოციალური ფონდის საქმიანობის მიმართულებით, ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობის, სოციალური პასუხისმგებლობის და კორპორაციული ღონისძიებების, საკანონმდებლო ცვლილებების, ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ. ანგარიში ასევე, მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით შესრულებული პროექტების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (შემდგომში "ასოციაცია") წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და შექმნილია „ადვოკატთა შესახებ" და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე. ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის, ასოციაცია აერთიანებს 10 202 წევრს, საიდანაც 5 107 მოქმედი ადვოკატია.

ასოციაციის მიზანია, უზრუნველყოს იურიდიული პროფესიის ერთიანობა, ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრება იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისა და საადვოკატო საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფით.

ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი

ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. ადვოკატთა ასოციაციაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად შექმნილია აღმასრულებელი საბჭო, ეთიკის კომისია და სარევიზიო კომისია, რომელთა უფლებამოსილებაც გაწერილია ასოციაციის წესდებითა და „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონით.

ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება 12 წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობრივად შედის ასოციაციის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში გაიმართა აღმასრულებელი საბჭოს 20 სხდომა და საბჭოს წევრებმა განიხილეს 250-ზე მეტი საკითხი. აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე.

ასოციაციის აპარატი აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას:

- საკომიტეტო საქმიანობის კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი;
- სასწავლო ცენტრი;
- ეთიკის კომისიის აპარატი.



ასოციაციის აპარატს ხელმძღვანელობს ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, რომლის უფლებამოსილება გაწერილია „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ასოციაციის წესდებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასოციაციის აპარატში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ასოციაციაში დასაქმებულია 23 პირი: 18 ქალი და 5 კაცი. ასოციაცია თბილისის მასშტაბით აერთიანებს ერთ, ხოლო რეგიონული მასშტაბით ოთხ ოფისს: ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და კახეთში.

ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტი, რომელსაც ყოველი წლის ბოლოს ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო, შეადგენდა 1 069 740 ლარს.

ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები/წევრთა რეესტრი

2022 წელს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 371 პირი - 203 სამოქალაქო სამართლის, 74 სისხლის სამართლის, ხოლო 94 საერთო სპეციალიზაციით. საანგარიშო პერიოდისთვის ასოციაცია აერთიანებს 5 107 მოქმედ წევრს, საიდანაც 2558 კაცი და 2549 ქალია. 5 107 მოქმედი წევრიდან 3383 წევრი თბილისში, ხოლო 1524 რეგიონებში საქმიანობს.



საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის გაძლიერებისთვის

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების აქტიური ჩართულობით შემუშავებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ადვოკატთა როლის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონსა და სხვა მომიჯნავე სამართლებრივ აქტებში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვის მიზნით, ევროპის საბჭოსა და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით გაზაფხულზე პარლამენტში 2 სამუშაო შეხვედრა გაიმართა. აღნიშნული შეხვედრები მოიცავდა სამუშაო ჯგუფის მოსამზადებელ და შემაჯამებელ ეტაპებს. შემაჯამებელ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებსა და აპარატის წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო შეხვედრის ფორმატში, მუხლობრივად იქნა განხილული ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებების პაკეტი.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, მათ შორის:

- სამოქალაქო დავებზე პირველ ინსტანციაში სასამართლო წარმომადგენლობა ექსკლუზიურად ადვოკატის მიერ;
- პროფესიული საიდუმლოების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის დაწესება;
- ადვოკატის სტაჟიორის გაზრდილი საპროცესო უფლებამოსილებები;
- სასამართლო ხარჯების სამართლიანი განაწილების პრინციპი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით;
- უკანონო საადვოკატო საქმიანობის აკრძალვა;
- ფიზიკური პირის მიერ საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის საშეღავათო დაბეგვრა;

- შეღავათი სახელმწიფო ბაჟში ადვოკატის ჰონორართან დაკავშირებულ დავებზე და სხვა.

საკანონმდებლო ცვლილებების გადამუშავებული ვერსია საქართველოს პარლამენტში მიმდინარე წლის სექტემბერში გაიგზავნა. ცვლილებათა პაკეტის განხილვა ამ დროისათვის არ დაწყებულა, თუმცა გვაქვს მოლოდინი, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს ცვლილებათა პაკეტის განხილვას შესაბამის კომიტეტში დადგენილი პროცედურების დაცვით.

ადვოკატთა ასოციაციის როლი და ჩართულობა მართლმსაჯულების განვითარების პროცესში

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო (Bench-Bar)

საანგარიშო პერიოდში, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench & Bar) 5 შეხვედრა გაიმართა. მათ შორის 2 ჩატარდა თბილისში, 2 ბათუმში და ერთი კახეთში. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობდნენ აღნიშნულ სფეროში ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები, როგორც თბილისიდან ასევე, რეგიონებიდან.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს მმართველი კომიტეტის გაფართოებული შეხვედრა. შეხვედრაზე მოსამართლეებმა, ადვოკატებმა და პროკურორებმა მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობისა და აღნიშნული ფორმატის სამომავლო განვითარების გეგმების შესახებ იმსჯელეს. აღნიშნული შეხვედრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გახსნეს. შეხვედრის შედეგად, მმართველმა კომიტეტმა განსაზღვრა მომდევნო ერთი წლის განმავლობაში „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ თემატური სექციების (ე.წ. ბენჩ-ბარის) შეხვედრების თემატიკა, ასევე, მმართველი კომიტეტის შეხვედრის ფარგლებში „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ საქმიანობაში რეგიონების ჩართულობის გაზრდის გზები.

„მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ შეხვედრები USAID – ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერითა და ევროპის საბჭოს ოფისის მხარდაჭერით ტარდება და მისი მიზანი იურიდიულ პროფესიათა შორის რეგულარული შეხვედრების, დიალოგისა და დისკუსიების გზით მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობაა.

სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში ჩართულობა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც ევროკომისიის 12 პუნქტიანი რეკომენდაციის შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას ისახავს მიზნად. ჩართულობის ფარგლებში ასოციაციის თავმჯდომარის - დავით ასათიანის ინიციატივით მომზადდა და სასამართლო რეფორმების სამუშაო ჯგუფს წარედგინა ადვოკატთა ასოციაციის მოსაზრებები სანდო, ხარისხიანი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატების წარდგენა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის მიზნით, გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის 3 კანდიდატი (კანდიდატები: როინ მიგრიაული, სოფიო სოხაძე და გიორგი ტურაზაშვილი) წარადგინა.

აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შერჩეული კანდიდატები გამოირჩევიან მრავალწლიანი საადვოკატო პრაქტიკით, მაღალი კვალიფიკაციითა და სანდო რეპუტაციით.

ახალი სახალხო დამცველის შერჩევის პროცესში ჩართულობა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მისი თავმჯდომარის - დავით ასათიანის მონაწილეობით, აქტიურად იყო ჩართული პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილ ახალი სახალხო დამცველის კანდიდატთა სპეციალური შეფასების სამუშაო ჯგუფში.

პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენამდე კანდიდატები სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმებით: კეთილსინდისიერება და მაღალი რეპუტაცია; მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; სათანადო პროფესიული ცოდნა (კვალიფიკაცია, აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო მიღწევები და სხვა); პრაქტიკული გამოცდილება ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში.

საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიული გადაწყვეტილება - ქართული ადვოკატურის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის გარანტი

საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოში უზრუნველყოფილ იქნა ადვოკატთა თვითმმართველობის ყველაზე საუკეთესო და პროგრესული ევროპული მოდელის სამუდამოდ დამკვიდრება.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ, მართალია, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის ადამიანი, რომელიც იღებს ჰონორარს გაწეული იურიდიული მომსახურების საფუძველზე, თუმცა ეს არ ნიშნავს საადვოკატო საქმიანობის აბსოლუტურ თავისუფლებას. საადვოკატო საქმიანობა

რეგულირებადი პროფესიაა, რაც გულისხმობს პროფესიაში შესვლისა და განხორციელების, ასევე პროფესიული ქცევის წესების შესაბამისი სტანდარტების დადგენას. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატი არ არის მეწარმე, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მისი საქმიანობა ემსახურება მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების საჯარო ინტერესს და არა პროფესიული საქმიანობის საფუძველზე შემოსავლის მიღების კერძო ინტერესის დაკმაყოფილებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა საადვოკატო საქმიანობის ერთიანი სტანდარტის მნიშვნელობას და განმარტა, რომ მიუღებელი იქნებოდა ერთ ადვოკატს ან ადვოკატთა მცირე ჯგუფს შემოეღო განსხვავებული პროფესიული სტანდარტები, მათ შორის, ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები, თავიანთი ინდივიდუალური შეხედულებების საფუძველზე. ადვოკატთა თვითორგანიზების კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროს ამგვარი გაფართოება ძირფესვიან წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა ადვოკატთა თვითორგანიზების უფლების არსსა და დანიშნულებასთან.

ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ადვოკატთა ასოციაციის სავალდებულო წევრობა არათუ ზღუდავს ადვოკატთა თვითორგანიზების უფლებას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მის პრაქტიკაში რეალიზაციას, ვინაიდან ადვოკატთა სავალდებულო თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა იმ მიზნების მიღწევა, რასაც ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება ემსახურება.

[თანამედროვე ტექნოლოგიები ასოციაციის საქმიანობაში]

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან თანამშრომლობის შედეგად, შექმნა პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის ელექტრონული პორტალი. ადვოკატთა ასოციაციამ აღნიშნული ინოვაციური პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (INL) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

ელექტრონული პორტალი 2022 წლის 16 მაისიდან საპილოტე რეჟიმში, პირველ ეტაპზე, მხოლოდ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ამოქმედდა ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ბარიერს მიღმა შეხვედრის დაჯავშნის მიზნით. ელექტრონული დაჯავშნის პორტალი პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთან/ მსჯავრდებულთან ადვოკატის ვიზიტის პროცესის გამარტივებას ისახავს მიზნად. ადვოკატები, რომლებისთვისაც წინასწარ არის ცნობილი მათი

დაცვის ქვეშ მყოფ პირთან ვიზიტის საჭიროება, ელექტრონული პორტალის საშუალებით ახორციელებენ ვიზიტის წინასწარ დაჯავშნას, რაც ადვოკატისა და მისი კლიენტის შეხვედრის ორგანიზებულობასა და დროულობას უზრუნველყოფს.





პენიტენციურ დაწესებულებასთან შესაბამისი შეთანხმების შედეგად, 2022 წლის ოქტომბერში განხორციელდა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთან/მსჯავდებულთან ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის ელექტრონული პორტალის განახლება. კერძოდ კი, **2022 წლის 17 ოქტომბრიდან** ჯავშნების პორტალში დამატებითი ფუნქციონალის ჩაშენების შედეგად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან **ბარიერს მიღმა შეხვედრის დაჯავშნის გარდა** ადვოკატს საშუალება აქვს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განახორციელოს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან **პირისპირ ვიზიტის დაჯავშნაც.**

ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა და წევრთა მხარდაჭერა

ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდი 2013 წლიდან - დღემდე კოლეგიალური სოლიდარობის სულისკვეთებით ახორციელებს ჯანმრთელობის პრობლემების წინაშე მდგარი კოლეგების ფინანსურ მხარდაჭერას.

ფონდის მმართველი ორგანოა გამგეობა, რომელიც შედგება 5 წევრისგან და აირჩევა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 3 წლის ვადით. ფონდის ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ და გარდა ნებაყოფლობითი შემოწირულობებისა, ასოციაციის საწევრო შენატანიდან არანაკლებ 5% ირიცხება ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდში. საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების ფონდმა დახმარება გაუწია ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 43 ადვოკატს, რომლის ფარგლებშიც სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტიდან გაიცა თანხა 60 000 ლარის ოდენობით.



ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობა

საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციაზე დაყრდნობით, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ასოციაციის კომიტეტების განახლებული სტრუქტურა, ფორმირებისა და საქმიანობის წესი.

დღეის მდგომარეობით ასოციაციაში ჯამურად ფუნქციონირებს 24 თემატური კომიტეტი და ერთი სამუშაო ჯგუფი.

თბილისის თემატური კომიტეტები	
1	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი
2	სისხლის სამართლის კომიტეტი
3	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი
4	ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი
5	ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტი
6	მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტი
7	კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი
8	შრომის სამართლის კომიტეტი
9	ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი
10	საიმიგრაციო სამართლის კომიტეტი
11	საჯარო უწყებებისა და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტი
12	პროფესიის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტი
13	ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტი
სამუშაო ჯგუფი	ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამუშაო ჯგუფი

	რეგიონული კომიტეტები	
1	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**იმერეთის რეგიონული კომოიტეტები**
2	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი	
3	სისხლის სამართლის კომიტეტი	
4	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული კომიტეტები**
5	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი	
6	სისხლის სამართლის კომიტეტი	
7	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**აჭარის რეგიონული კომიტეტები**
8	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი	
9	სისხლის სამართლის კომიტეტი	
10	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტი**
11	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**კახეთის რეგიონული კომიტეტი**

კომიტეტების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების მიმოხილვა:

- **ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი**

2022 წლის განმავლობაში, ადვოკატის პროფესიული უფლებების თბილისის კომიტეტში დარეგისტრირდა 46 განცხადება, საიდანაც კომიტეტმა შეისწავლა და შესაბამისი დასკვნა მოამზადა 46-ვე განცხადებაზე. ჯამში, თბილისის კომიტეტმა ჩაატარა 11 მიმდინარე და 6 რიგგარეშე სხდომა, ხოლო ადვოკატის პროფესიული უფლებების რეგიონულმა კომიტეტმა - 15 სხდომა.

კომიტეტების დასკვნის საფუძველზე მომზადდა წერილობითი დოკუმენტები და გაიგზავნა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში რეაგირების განხორციელების მიზნით. რეგიონებში მოქმედი ადვოკატების ჩართულობით, ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა არაერთი ბრიფინგი და დისტანციური შეხვედრა.

- **შრომის სამართლის კომიტეტი**

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა შრომით დავებზე მომუშავე ადვოკატთა მიერ სამართალწარმოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების შესწავლა. ონლაინ შეხვედრების (ვებ-კონფერენციების) ორგანიზების გზით, განხორციელდა შრომითი უფლებების უახლესი სტანდარტების, სასამართლო პრაქტიკის განვითარების, შრომის კანონმდებლობის სიახლეებისა და ხარვეზების შესახებ ადვოკატებისა და დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება. მათ შორის, ჩატარდა დისკუსია მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის შრომის სამართლის ისეთ აქტუალურ საკითხზე, როგორიცაა ციფრული ეკონომიკის სფეროში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებები.

- **ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი**

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოების და სასამართლო სისტემის მუშაობის პროცესში პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობის გზების დასახვა.

კომიტეტის წევრთა მიერ განხორციელებული კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირდა საკითხი, რაც უკავშირდება საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზების შესწავლას. მიღებული ინფორმაციასა და ფაქტებზე დაყრდნობით დგინდება, რომ მიუხედავად დავის დაწყების ან/და გაგრძელების აშკარად გამოხატული უპერსპექტივობისა, მრავალი წელია უცვლელი ხასიათი აქვს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამართალწარმოების ბოლო სტადიამდე, სასამართლოს სამივე ინსტანციაში დავების გაგრძელების პრაქტიკას. აღნიშნული პრაქტიკით განსაკუთრებით ზარალდებიან მართლმსაჯულების აღსრულების მოლოდინში მყოფი ფიზიკური პირები და ბიზნეს სუბიექტები, უარესდება ადმინისტრაციული ორგანოებისადმი ნდობის ხარისხი.

კომიტეტი აქტიურად აგრძელებს მუშაობას, სასამართლოში საქმის წარმოების დროს კანონის უზენაესობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპების დაცვის შესახებ შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების ხელშეწყობის მიმართულებით, რათა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ფორმალურად არ გამოიყენონ საპროცესო უფლებები, არ დაუშვან საკუთარი მიზეზით საქმეთა გაჭიანურება, კანონის ფარგლებში უფრო ხშირად და სწორად გამოიყენონ მორიგების, სარჩელის ცნობისა და სხვა დისპოზიციური უფლებები. ამავდროულად, აღიკვეთოს წამგებიანი და უპერსპექტივო სასამართლო საქმეების წარმოების მიზნით საჯარო ფინანსების და ადამიანური რესურსების არამიზნობრივი გამოყენება.

- **ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა გამართა არაერთი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, მათ შორის რეგიონში მოქმედ კოლეგებთან, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე. კომიტეტის ინიციატივითა და წევრთა აქტიური ჩართულობით ევროკავშირი-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და გზამკვლევის თარგმანი. ამასთან, კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლაში და აღნიშნულის საქართველოში მოქმედი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შედარების პროცესში. კომიტეტი ასევე ჩართული იყო ამ კუთხით საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

- **კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი**

კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის წევრთა აქტიური ჩართულობით განხორციელდა არაერთი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტივობები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი და უახლესი ცვლილებების განმარტება, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონის ძირითადი პრინციპები. შემუშავდა მოსაზრებები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული საარბიტრაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ განხილვებში. კომიტეტმა გამართა არაერთი შეხვედრა და მიმდინარე პერიოდშიც აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამასთან (CLDP) მოქმედი ადვოკატების პროფესიული სწავლების ტრენინგების დაგეგმვისა და სამეწარმეო სამართლის მიმართულებით ადვოკატთა ცნობიერების გაღრმავების მიმართულებით.

- **ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტი**

კომიტეტის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა ადვოკატების მიერ განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვების, ქალების, ხანდაზმულებისა და სხვა ჯგუფების უფლებების დაცვის ხელშეწყობის თვალსაზრისით საინფორმაციო ხასიათის აქტივობების განხორციელება; ასევე, ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის პრინციპების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ონლაინ ვებინარების გამართვა. კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში ადვოკატების მიერ ქალთა უფლებების დაცვის თემაზე დაგეგმილი ციკლის ფარგლებში ჩაატარა ონლაინ შეხვედრები ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის დაცვის პრინციპის გაძლიერების მიმართულებით.

- **სისხლის სამართლის კომიტეტი**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი აქტიურად საქმიანობდა საკანონმდებლო წინადადებების /ინიციატივების შემუშავების მიმართულებით ისეთ მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ მე-12 მუხლით (დანაშაულის კატეგორიები) განსაზღვრულ დანაშაულის

კატეგორიებზე სასჯელის ზომის ცვლილებები, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ XXIII თავით გათვალისწინებულ 226-ე მუხლში ცვლილებების შეტანა.

- **სამოქალაქო სამართლის კომიტეტი**

სამოქალაქო სამართლის კომიტეტის ინიციატივით, კომიტეტის წევრთა აქტიური ჩართულობითა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეხვედრა ჩატარდა უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხებზე, მათ შორის ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ერთგვაროვანი პრაქტიკა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს და სარჩელის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები. კომიტეტი ასევე აქტიურად განაგრძობს საქმიანობას ბავშვთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის, ბავშვთა კოდექსის ეფექტიანი განხორციელებისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის თემებზე.

- **საიმიგრაციო სამართლის კომიტეტი**

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტის ფარგლებში ჩატარდა არაერთი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა საიმიგრაციო სამართლის აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის: საქართველოში სავიზო პოლიტიკა, ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებული თემები და თავისებურებები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ბინადრობის საკითხები. ამასთან, კომიტეტის გარკვეულ წევრთა აქტიური ჩართულობით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ განახორციელა პრო ბონო იურიდიული დახმარების პროექტი - ამოქმედდა პრო ბონო იურიდიული დახმარების ცხელი ხაზი საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით, რომლის ფარგლებშიც, ათეულობით უკრაინელ მოქალაქეს გაეწია კვალიფიციური სამართლებრივი კონსულტაცია-დახმარება.

- **მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტი**

კომიტეტი აქტიურად საქმიანობს მოსამართლეთა შერჩევისა და შეფასების პროცესში ადვოკატთა ასოციაციის როლის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების პროცედურის შემუშავება, შერჩევის წესი, შეფასების კრიტერიუმები, ინდივიდუალური და შემაჯამებელი შეფასების წესები და შესაბამისი მეთოდოლოგია, საბოლოო შეფასების შესახებ საზოგადოების და დაინტერესებული პირების ინფორმირების წესი და სხვა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი ასევე აქტიურად საქმიანობდა საქმეთა ნაკადების მართვის გაუმჯობესების მხარდაჭერის მიმართულებით და მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნის წარმოების კუთხით არსებული რეგულაციების გათვალისწინებით წინადადებების შემუშავებაზე.

საინფორმაციო ხასიათის დისტანციური შეხვედრები სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე გამართეს ადვოკატთა ასოციაციის საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციისა და პროფესიის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტებმა. ამასთან, კომიტეტები აქტიურად მუშაობენ საკანონმდებლო წინადადებების შემუშავებაზე სხვადასხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ თემასთან მიმართებით.

- **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფი**

ფართო საზოგადოებაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა არაერთი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, მათ შორის, უნივერსიტეტის სხვადასხვა პროფესიის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებთან თემაზე - „გახდი ნაფიცი მსაჯული“.

ამასთან, სამუშაო ჯგუფის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროექტში, ,,გახდი ნაფიცი მსაჯული'', რაც გულისხმობდა იმიტირებული პროცესისთვის სტუდენტების მომზადებას რამდენიმე დღის განმავლობაში. ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესების დასკვნითი ღონისძიება საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩატარდა და მხარდაჭერილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ.

ადვოკატთა ასოციაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (Bureau of international Narcotics and Law Enforcement Affairs (INL), US State Department) თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის ჩატარდა 4-დღიანი სიღრმისეული კურსი თემაზე: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები.“ კურსს ამერიკის შეერთებული შტატების მაიამი-დეიდის ოლქის ადვოკატები უძღვებოდნენ.

ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა

ძირითადი მიმართულებები:

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

საანგარიშო წელს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა სამჯერ. პირველ საგამოცდო საგაზაფხულო სესიაზე მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 639-ს, საიდანაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა 225-მა მონაწილემ. მეორე საშემოდგომო საგამოცდო სესიაზე რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა - 416-ს, საიდანაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა 158-მა მონაწილემ. მესამე საგამოცდო სესიაზე მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 224-ს, საიდანაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა 64-მა მონაწილემ.





ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსი

საანგარიშო პერიოდში, ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსის 1 ნაკადი. მოსამზადებელი კურსზე რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 51, საიდანაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა 12-მა.



ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამა

მიმდინარე წელს, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 2 ნაკადზე გამოცხადდა რეგისტრაცია. საგაზაფხულო ნაკადზე დარეგისტრირდა 215 მონაწილე, რომლებმაც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, დაასრულეს 3-თვიანი თეორიული ნაწილი და მიმდინარეობს სტაჟირების 9-თვიანი ნაწილი. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საშემოდგომო ნაკადზე დარეგისტრირდა 232 მონაწილე, რომლებიც გადიან 3-თვიან თეორიულ ნაწილს, რომელიც დასრულდება 2023 წლის იანვარში. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად რეგისტრირებულია 596 სტაჟირების ხელმძღვანელი მენტორი ადვოკატი.





ადვოკატთა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სასწავლო მოდულების განახლება და სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა გადამზადება

საანგარიშო პერიოდში, ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად, ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ლექტორებისთვის ზრდასრულთა

სწავლების მეთოდოლოგიასა და სტანდარტიზებული სილაბუსების შემუშავების საკითხებზე სიღრმისეული ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგში ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ლექტორების განახლებული შემადგენლობა მონაწილეობდა, რომელიც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ გამოცხადებული საჯარო კონკურსის საფუძველზე შეირჩა. ტრენინგის შედეგად შემუშავდა 9 განახლებული სტანდარტიზებული სასწავლო მოდული, რომლითაც წარიმართა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-8 ნაკადის თეორიული კურსი.

ასევე, ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილის ეფექტიანად წარმართვისა და გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი (მენტორი) ადვოკატებისთვის სიღრმისეული ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „შედეგზე ორიენტირებული მენტორობის უნარ-ჩვევები," რომელიც თეორიულ ნაწილთან ერთად პრაქტიკულ სამუშაოებსაც მოიცავდა. გადამზადებული მენტორი ადვოკატები, მომდევნო წლიდან ჩაატარებენ ტრენინგებს სხვა მენტორი ადვოკატებისთვის, რომლებიც მიიღებენ სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის სტატუსს.

ადვოკატის ფიცის დადების ცერემონია

საანგარიშო პერიოდში, სიმბოლურად, ადვოკატის დღეს - 8 ნოემბერს, ადვოკატთა ასოციაციაში ახლად გაწევრიანებულ ადვოკატთა ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ცერემონიის ფარგლებში, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 250-მა კურსდამთავრებულმა ადვოკატის ფიცი ოფიციალურად დადო და მათ თავმჯდომარისგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ადვოკატთა ასოციაციის საიუბილეო კონფერენცია

8 ნოემბერს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს (COE) მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაციის საიუბილეო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს დაეთმო და მასში ევროპის საბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები მონაწილეობდნენ. კონფერენციის შემდეგ, ადვოკატის დღესთან დაკავშირებით ასოციაციის ორგანიზებით წევრებისთვის საზეიმო მიღება გაიმართა.

განგრძობადი იურიდიული განათლება

2022 წელს, ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა ონლაინ სწავლების მიმართულების გაძლიერებისა და ასოციაციის წევრთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად განახლებული ფორმატის ონლაინ მოდულებით შემუშავდა.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით და ხორვატი ექსპერტის ჩართულობით, ასოციაციამ უზრუნველყო ახალი, თანამედროვე ფორმატისა და სტრუქტურის ონლაინ მოდულების შემუშავება, რომელთა სტრუქტურა ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შედგება, ინტერაქციული მეთოდით არის გადმოცემული და მოიცავს როგორც ვიდეო, ასევე საკითხავ და ტესტურ კომპონენტებს. აღნიშნული ფორმატით საანგარიშო პერიოდში შემუშავდა 8 ონლაინ მოდული სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

ასოციაციამ ონლაინ მოდულები ადვოკატებს ადვოკატთა ვებ-პორტალის საშუალებით შესთავაზა, რომელიც სრულად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებაზე. ასევე, პორტალის საშუალებით შესაძლებელია ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო ღონისძიებებზე რეგისტრაცია, კრედიტების მონიტორინგი, ტრენინგის ხარისხის შეფასება, გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება და სხვა საგანმანათლებლო პროცესების მართვა.

მომდევნო წლიდან, წევრთა ჩართულობით გამოკვეთილი ტრენინგ საჭიროებათა კვლევის შესაბამისად, ონლაინ მოდულებთან ერთად, ასოციაცია წევრებს ფიზიკურ სივრცეშიც შესთავაზებს ტრენინგებს სხვადასხვა საინტერესო და აქტუალურ საკითხზე.



საანგარიშო პერიოდში, ადვოკატთა ასოციაციამ, „ბავშვის უფლებათა კოდექსისა“ და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ შესაბამისად, ადვოკატებისთვის სპეციალიზებული კურსები ჩაატარა.

ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში ასოციაციამ ექვსი 4-დღიანი სპეციალიზებული კურსის ჩატარება უზრუნველყო, რომელსაც 344 ადვოკატი დაესწრო და კურსის გავლის შემდგომ, ტესტირების საფუძველზე, ბავშვთა უფლებებში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი მიენიჭა - 286 მონაწილეს.

ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, ასოციაციამ ჩაატარა 4 სპეციალიზებული კურსი, რომელიც გაიარა 185-მა ადვოკატმა, საიდანაც 162 მონაწილეს, ტესტირების საფუძველზე, მიენიჭა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი.


ბავშვთა უფლებების სპეციალიზებული კურსის მონაწილეთა სტატისტიკური მაჩვენებელი რაოდენობრივ და გენდერულ ჭრილში
344
286
104
182
მონაწილეთა საერთო რაოდენობა
სპეციალიზებულ ადვოკატთა რაოდენობა
კაცი
ქალი


არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსის მონაწილეთა სტატისტიკური მაჩვენებელი რაოდენობრივ და გენდერულ ჭრილში
317
243
87
98
მონაწილეთა საერთო რაოდენობა
სპეციალიზებულ ადვოკატთა რაოდენობა
კაცი
ქალი

ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა

ეთიკის კომისია, როგორც ეთიკური ქცევის დამდგენი ორგანო, ორი მიმართულებით საქმიანობს:

შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ადვოკატის ქცევის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება დისციპლინირების შესახებ
ადვოკატებისთვის რეკომენდაციათა გაცემა ეთიკურ საკითხებზე ადვოკატის წერილობითი ან ზეპირი მომართვისას

ანგარიში მოიცავს კომისიის საქმიანობის ორივე მიმართულების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, ასევე კომისიის მიერ დისციპლინური წარმოების გარდა განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვას.

- **გადაწყვეტილებათა სტატისტიკური ინფორმაცია:**

2022 წლის 20 დეკემბრის მონაცემებით კომისიამ მიიღო 106 საჩივარი, ხოლო პარალელურად აწარმოა წინა წლებიდან ნაშთის სახით მიღებული 115 საქმე და 36 საქმე, რაზეც 2022 წელს აღიძრა დისციპლინური დევნა. კომისიის წარმოებაში არსებული 257 საქმიდან დასრულდა საპროცესო ეტაპზე 131 საქმე, ხოლო განხილვის ეტაპზე 38 საქმე, ამჟამად მიმდინარეა წარმოება 88 დისციპლინური საქმეზე.

2022 წელს კომისიაში შემოსული 106 საჩივარი წარმოდგენილია შემდეგი პირების მიერ:



❖ **საპროცესო წარმოების შედეგები:**

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 74 პირის მოთხოვნა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე, 21 საქმეზე შეწყვიტა წარმოება, ხოლო 36 საქმეზე დაიწყო დისციპლინური დევნა.

საჩივრები, რაზეც არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ეთიკური ქცევის სტანდარტების დარღვევა, შეეხებოდა ქცევის შემდეგ სტანდარტებს: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კლიენტის კანონიერი და ეთიკური საშუალებებით დაცვა, ჰონორარის და საქმისწარმოების ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას არსებულ ვალდებულებათა დაცვა, კოლეგიალობის პრინციპი, სასამართლოში ქცევის წესების დაცვა, პროცესის მონაწილის უფლებების პატივისცემა.



21 საჩივარზე ეთიკის კომისიამ დისციპლინური წარმოება შეწყვიტა შემდეგი საფუძვლების გამო:

- 3 შემთხვევაში საჩივრის ავტორმა გაუშვა საჩივრით მიმართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა;
- 10 შემთხვევაში საჩივრის ავტორმა გაიხმო საჩივარი;

- 8 შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უარი თქვა საჩივრების განხილვაზე შემდეგი საფუძვლებით: საჩივრის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში; არსებობდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე; საჩივარი არ შეიცავდა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით საჩივრისთვის განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

ეთიკის კომისიამ 36 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად, ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებს წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა:

- კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება - 13 შემთხვევა;
- კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საქმის მსვლელობის თაობაზე - 13 შემთხვევა;
- გამოუმუშავებელი ავანსის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება - 10 შემთხვევა;
- ინტერესთა შეუთავსებლობა - 4 შემთხვევა;
- ჰონორარის ოდენობის წინასწარ ინფორმირების ვალდებულება - 3 შემთხვევა;
- ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კლიენტისთვის წარდგენის ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- კლიენტის ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისგან განცალკევებით შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- გარანტიის მიცემის დაუშვებლობა - 1 შემთხვევა;
- კოლეგიალობა- 12 შემთხვევა;
- სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება - 3 შემთხვევა;
- პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება - 3 შემთხვევა.

- **განხილვის წარმოების შედეგები:**

განხილული 38 საქმიდან 24 შემთხვევაში კომისიამ გამოიყენა დისციპლინური ღონისძიების შემდეგი სახეები:

- 12 ადვოკატის მიმართ - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;
- 11 ადვოკატის მიმართ - გაფრთხილება;
- 1 ადვოკატის მიმართ - საქმიანობის უფლების შეჩერება 6 თვის ვადით.

განხილვის კოლეგიის მიერ საქმეთა შესწავლის ეტაპზე, 9 შემთხვევაში ადვოკატი გამართლდა, ვინაიდან არ დადასტურდა პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევა, ხოლო 5 შემთხვევაში წარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების საფუძვლით.



საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა ოთხი გადაწყვეტილება, სამ საქმეზე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, ერთი საქმე თავიდან განსახილველად დაუბრუნდა ეთიკის კომისიას, ვინაიდან ადვოკატი ვერ ჩაერთო ეთიკის კომისიაში მიმდინარე წარმოებაში და სადისციპლინო პალატაში წარმოადგინა პოზიცია, რის გამოც პალატამ მიიჩნია საქმე ეთიკის კომისიას ადვოკატის არგუმენტების გათვალისწინებით თავიდან უნდა გამოეკვლია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადიციპლინო პალატის გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გრაფაში.

❖ **რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები**



ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციათა წერილობით თუ ცხელი ხაზის მეშვეობით გაცემამ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლიდან, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ადვოკატთა შორის. საანგარიშო პერიოდში კომისიამ 45 რეკომენდაცია გასცა, აქედან:

- 21 ზეპირი;
- 24 წერილობითი;

კომისიის დამატებითი საქმიანობა

2022 წლის განმავლობაში, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ ან მისი აპარატის მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის შეხვედრები ადვოკატებთან

ადვოკატებთან პროფესიული ეთიკის საკითხების განხილვისა და კომისიის პრაქტიკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ადგილზე ჩატარდა შეხვედრები თბილისის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, აჭარის და სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის ადვოკატებთან. დისკუსიის თემად განისაზღვრა პროფესიული ქცევის ის სტანდარტები, რაზეც მიმდინარე წელს ყველაზე მეტი მომართვიანობა დაფიქსირდა კომისიაში. კერძოდ: კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება; კლიენტის ინფორმირების ვალდებულება; მტკიცების ტვირთი დისციპლინურ წარმოებაში; კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის ვალდებულება; გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება; კოლეგიალობა. ადვოკატებს შესაძლებლობა

ჰქონდათ პროფესიული ქცევის სხვა საკითხებზეც მიეღოთ ინფორმაცია და წარემართათ დისკუსია. შეხვედრები ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

კომისიის გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა საჯაროობის უზრუნველყოფა

ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდისთვის დამუშავდა და განთავსდა ეთიკის კომისიის კანონიერ ძალაში შესული ყველა გადაწყვეტილება და რეკომენდაცია. ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე ეთიკის კომისიის გრაფაში.

იურიდიული კლინიკის განვითარება

სტუდენტებში პროფესიული ქცევის სტანდარტების პოპულარიზაციისთვის ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე 2016 წლიდან ხორციელდება ეთიკის კლინიკა. კლინიკის მიზანია, მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რომლებიც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რათა საადვოკატო საქმიანობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი მზად იყოს ეთიკური საადვოკატო პრაქტიკისათვის.

სტუდენტებში პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ ცოდნის გავრცელებისთვის, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თანამშრომლობის ფარგლებში 2022 წლის ივლისში დაფუძნდა ეთიკის კლინიკა. კლინიკის მიზანია საადვოკატო საქმიანობით დაინტერესებულ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რომლებიც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს და ის ხორციელდება USAID ROLP პროექტის ფარგლებში.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე - პროფესია ადვოკატი.

განხორციელდა ათ-კვირიანი პროგრამა ადვოკატის პროფესიულ ეთიკაზე, რომელიც მოიცავდა სალექციო კურსებს არაფორმალური განათლების ფორმატში და იმიტირებულ პროცესებს. პროგრამა მომდევნო სემესტრებშიც განხორციელდება და ხელს შეუწყობს სტუდენტების მხრიდან ეთიკური საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერებას.

მიმდინარე წელს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკამ ითანამშრომლა თბილისში მდებარე რამდენიმე უნივერსიტეტთან, რომელთა შორისაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ და აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან. მიმდინარე წელს კლინიკაში სწავლება გაიარა 52-მა სტუდენტმა, რომელთა შორის 42 მაგისტრატურის საფეხურის, ხოლო 10 ბაკალავრიატის სტუდენტია.

ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა

2022 წლის განმავლობაში სარევიზიო კომისიამ გამართა 4 შეხვედრა და ზედამხედველობა გაუწია და დაამტკიცა 2021 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნას. სარევიზიო კომისიამ დამოუკიდებელი აუდიტორიული შერჩევის მიზნით გამოაცხადა კონკურსი განცხადებების მიღებაზე, განიხილა შემოსული განცხადებები და შეარჩია დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია. სარევიზიო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული 2021 წლის ფინანსური ანგარიშის დასკვნა. 2022 წელს ჩატარებული 2021 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნით ასოციაციის ფინანსური საქმიანობის ანგარიში შეფასებულია უპირობოდ დადებითად.

ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1 069 740 ლარს. განსაკუთრებით აღსანიშნია ასოციაციის ფინანსური საქმიანობის ის ნაწილი, რომლითაც მოხდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაცია, რის საფუძველზეც:

- გაიზარდა ადვოკატთა სოციალურ მხარდაჭერაზე მიმართული თანხების ოდენობა;
- განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი - ადვოკატთა სახლი.

ადვოკატთა სოციალური მხარდაჭერის მიზნებისთვის ადვოკატთა დახმარების სოციალური ფონდის 2022 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 60 000 ლარი. ასოციაციამ ჯამში რთულ ვითარებაში მხარდაჭერა აღმოუჩინა 40-ზე მეტ კოლეგას.

ამასთანავე, ასოციაციამ აქტიურად იმუშავა ,,ადვოკატთა სახლის'' მშენებლობის მიმართულებით. მშენებლობა მაღალი ტემპით მიმდინარეობდა და ამ დროისთვის დასკვნით ფაზაშია.

ინფრასტრუქტურული პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 5 000 000 ლარს, საიდანაც

- არსებული ფართის რეალიზაციის მიღებული წილი შეადგენს 2 306 000 ლარს;
- საბანკო კრედიტის წილი შეადგენს - 1 300 000 ლარს;
- ასოციაციის ბიუჯეტის ოპტიმიზაციის წილი შეადგენს 1 394 000 ლარს.

კორპორაციული მიმართულება

2022 წლის მასტერ ლიგების საერთაშორისო ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის დროშას ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდი წარმოადგენდა. ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდმა სლოვენიაში, „სოკას ჩემპიონთა ლიგის“ საერთაშორისო ჩემპიონატზე იასპარეზა. ასოციაციის გუნდის შერჩევაც თბილისის „მასტერ ლიგაში" წარმატებული მონაწილეობის შედეგად მოხდა.

ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო ნაკრების წარმატება

მიმდინარე წლის ოქტომბერში ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მე-3 კორპორაციული ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონატში სულ 16 გუნდი მონაწილეობდა,

რომელთა შორის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა.

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო ნაკრებმა აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციის ნაკრები ორგზის დაამარცხა და უკვე მეორედ გახდა ტურნირის გამარჯვებული. შესაბამისად, გარდამავალი თასი კვლავ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში რჩება.

ონლაინ ვებ-დისკუსიები

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის ფარგლებში, სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე 9 ონლაინ ვებ-დისკუსია გაიმართა. ვებინარები ჩატარდა თემებზე:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) განჩინებებს ბავშვთა უფლებების თემაზე;
- დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში;
- ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების გამოწვევები საქართველოში;
- ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების გამოწვევები საქართველოში;
- გამოხატვის თავისუფლება Facebook- სა და YouTube -ზე;
- საიმიგრაციო სამართლის აქტუალური საკითხები;
- ,,მეწარმეთა შესახებ'' კანონის უახლესი ცვლილებები;
- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და საგადასახადო ყადაღასთან დაკავშირებული ასპექტები და თავისებურებები;
- ,,მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონის ძირითადი პრინციპები.

საგამომცემლო მიმართულება

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ სამართლის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე გამოსცა განახლებული ფორმატის ჟურნალის 3 ნომერი ჟურნალის სამივე ნომერი ელ-ფოსტის საშუალებით გაეგზავნათ ასოციაციის წევრებს.

[საერთაშორისო თანამშრომლობა]

2022 წლის 24 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და გერმანიის ადვოკატთა ფედერალურმა პალატამ (BRAK) საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით კონფერენცია ჩაატარა, სადაც ბიზნეს დავების განხილვის გერმანული მოდელი და მისი ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირების პერსპექტივა განიხილეს.

გერმანული მოდელი სპეციალური პალატის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რომლის შემადგენლობაში ერთი პროფესიონალი მოსამართლე და ორი მსაჯული იქნება. პალატის წევრები საქართველოში მოქმედი ბიზნეს ასოციაციებისა და გაერთიანებების წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტდება. შერჩეული მსაჯულებისგან მსაჯულთა რეესტრი შეიქმნება, საიდანაც, კონკრეტული დავის განხილვისთვის კომერციულ პალატაში მსაჯულები აირჩევიან წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურის საფუძველზე.



ბიზნეს დავების გადაწყვეტის აღნიშნული მოდელი საქართველოში ისეთ გარემოს შექმნის, რაც კერძო სექტორის გაძლიერებასა და ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს და კომერციულ დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხსა და სანდოობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია უზბეკეთში

„ასოციაციის განვითარების პერსპექტივები და უზბეკეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება“ - ამ თემაზე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა ტაშკენტში, რომელშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციაც მონაწილეობდა. კონფერენციას ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ მსოფლიოს 30 - ზე მეტი ქვეყნიდან.

შეხვედრა აზერბაიჯანის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარესა და ადვოკატურის სხვა ხელმძღვანელებთან

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი აზერბაიჯანის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარეს, ანარ ბაგიროვსა და ადვოკატურის სხვა ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე ორი ქვეყნის ადვოკატურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივ, სამომავლო ღონისძიებებზე იმსჯელეს.

ევროპის ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის (EYBA) გენერალური ასამბლეა

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - გიორგი ჭეხანმა, ევროპის საბჭოს მიწვევით სტრასბურგში სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე, შეხვედრა გაიმართა სტრასბურგის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტთან ტიფანი კონეინთან, სადაც გადაწყდა, რომ საქართველოსა და სტრასბურგის ადვოკატთა ასოციაციებს შორის გაფორმდება მემორანდუმი და გაძლიერდება თანამშრომლობა ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიმართულებით, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

საქართველოსა და რომის ადვოკატთა ასოციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოსა და რომის ადვოკატთა ასოციაციებს შორის გაფორმდა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და რომის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ანტონინო გალეტმა მოაწერეს ხელი.

საქართველოსა და რომის ადვოკატთა ასოციაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმი აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა - ერთობლივი სემინარები და კონფერენციები, ახალგაზრდა ადვოკატების გაცვლითი პროგრამები და იტალიაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესების დაცვა.

ვილნიუსში ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მმართველი საბჭოს სხდომა გაიმართა

18-21 მაისს, ვილნიუსში, საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის (International Bar Association/IBA) მმართველი საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი და აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ჭეხანი მონაწილეობდნენ. შეხვედრის ფარგლებში, მმართველმა საბჭომ IBA-ის ხელმძღვანელობის ანგარიშები მოისმინა და სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე იმსჯელა, მათ შორის - ადვოკატის უფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვით კუთხით არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები.

მმართველი კომიტეტის შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ საკითხს უკრაინაში რუსეთის აგრესიული ომი და უკრაინის მხარდასაჭერად ადვოკატთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გადასადგმელი დამატებითი ნაბიჯები წარმოადგენდა.

საქართველოსა და ჰონგ-კონგის ადვოკატთა ასოციაციების ერთობლივი კონფერენცია



,,ბიზნეს საქმიანობა ჰონგ-კონგსა და საქართველოში: სამართლებრივი საკითხები" - თემაზე საქართველოსა და ჰონგ-კონგის ადვოკატთა ასოციაციების ერთობლივი კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ასოციაციიების წევრები და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. ქართველმა და ჰონგ-კონგელმა ექსპერტებმა განიხილეს ბიზნესის

რეგისტრაციასთან, ორმაგ დაბეგვრასთან, სამუშაო ვიზასთან და დავების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები.

- **სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სალექციო კურსი**

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციისა და სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ერთობლივ ღონისძიებათა საგაზაფხულო ციკლის ფარგლებში სირაქიუზის უნივერსიტეტის პროფესორებმა ხუთი ლექცია ჩაატარეს თემებზე:

- აშშ სამართლის სისტემა და თავისებურებები. მომხსენებელი: პროფესორი - შენონ გარდნერი
- კანონის უზენაესობა და საერთაშორისო უსაფრთხოება. მომხსენებელი: მოსამართლე/პროფესორი - ჯეიმს ბეიკერი
- აშშ-ს სისხლის სამართლის პროცედურების მიმოხილვა - დაპატიმრებიდან სასჯელის გამოტანამდე. მომხსენებელი: პროფესორი - ტოდ ბერგერი
- საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციები. მომხსენებელი: პროფესორი დევიდ რიდი
- ინტელექტუალური საკუთრება და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. მომხსენებელი: შუბა გოში - სირაქიუზის უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარება

მიმდინარე წლის ბოლოს ასოციაცია დაასრულებს ადვოკატთა ასოციაციის ახალი ოფისის, „ადვოკატთა სახლის“ მშენებლობის პროცესს, რომელიც თითოეული ადვოკატისთვის განკუთვნილი თანამედროვე, პრესტიჟული და კომფორტული სივრცე იქნება. ახალი ოფისის ოფიციალური გახსნის ღონისძიება მომდევნო წლის დასაწყისში იგეგმება.